# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველ დღიური გამოცემა კვირა-უქმეების შემდეგაც.— შაბათი, 8 იანვარი 1900 წ. № 1008.

**გაზეთი ღირს:** წლიწადში—6 მანეთი, თვეში—75 კაპიკი, ცალკე ნომერი 3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში (ვაშლის ქუჩა, № 27), წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიაში და ქართველთა წიგ. გამომც. ამხ. კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

რედაქცია იმყოფება ვაშლის ქუჩაზე, სახლი, № 27, მარტიროზოვისა.—ხელთაუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს— პირისპირ ლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა: 11 საათიდან 1 საათამდე (შუა დღით).

**ტელეფონი № 372** — ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“—„Моамбэ“

„მოამბე“ **1900 წ.** „ცნობის ფურცელი“

| (წლიწადი მეშვიდე) | (წლიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში** | **გამოვა ყოველ დღე კვირა-უქმეების შემდეგაც** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლ. 6 თვ. 3 თვ. | 1 წლით 1 თვით |
| რუსეთისა და კავკასიის ქალაქებში . . . 10 მ. 6 მ. 4 მ. | რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . . 6 მან. 75 კაპ. |
| სამძღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . 13 მ. 7 მ. 5 მ, | სამზღვარ გარეთის ქალაქებში . . . . . 7 მან, 90 კაპ. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთის წლით გამოიწერს „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება სხვათა შორის შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბები) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კაპ. მეოთხეზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

Въ Центральной книжной торговлѣ (въ Тифлисѣ) и въ книжномъ магазинѣ Бежанейшвили (въ Кутаисѣ) продается **новая книга**

**Календарь-Альманахъ**

**НА 1900 Г.**

**сост. Г. Ласхишвили**

(съ картой Трансвааля и портретами буровъ).

Въ книгѣ кромѣ календарныхъ свѣдѣній помѣщены разсказы К. С. Баранцевича, Малишевкаго и др.; стихотворенія Иванъ-да-Марья и Л. Кипіани; театральное обозрѣніе и др. статьи. **Ц. 20 коп.**

Складъ изданія—въ литографіи Шахбазіана, на Барятинской ул., д. № 8. 6. (10—6)

# ახალი ამბავი

— დღეს, 8 იანვარს, საქართველოს ეკკლესიის **წმ. მოწამის აბოს ხსენების დღეს** შესრულებულ იქნება საღმრთო წირვა ავლაბრის ფერისცვალების (დარიას მონასტერი) ტაძარში გორის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ლეონიდეს მიერ და ხარფუხის წმ. ნიკოლოზის ტაძარში კი ალავერდის ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო კირიონის მიერ. წირვა ორსავე ეკკლესიაში დაიწყება დილის 9 საათზე. ყოვლად სამღვდელო ლეონიდე წირვის დროს დღის შესაფერ სიტყვას წარმოსთქვამს. წირვის გათავების შემდეგ შესრულებულ იქმნება ლიტანია ორსავე ტაძრიდან სამღვდელოების მიერ ყოვლად სამღვდელოთა მეთაურობით და ჯვრის წინ წარძღვანებით წმ. აბოს ნიშამდის. ეს ნიში იმყოფება მტკვრის მარცხენა მხარეს, მეტეხის კლდის ძირას, ავლაბრის ხიდთან. ამ ნიშის წინ მოედანზე სამღვდელოება შეასრულებს წმ. აბოს სავედრებელ გალობას. სახარების წაკითხვის შემდეგ დღის შესაფერი სიტყვა იქნება წარმოთქმული ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებლის ი. ი. ფერაძისაგან. ესრეთ საქართველოს ეკკლესია გადაიხდის დღესასწაულს წმ. მოწამის აბო ტფილელისას, რომელიც ითვლება ქ. ტფილისის და ქართველთ მფარველ ანგელოზით.

— **ტფილისის თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრება** მოხდება მომავალ 20 მარტს. ამ კრებაზე იქნება არჩევნები გუბერნიის და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა, დეპუტატებისა და მათ კანდიდატებისა. ასარჩევია აგრეთვე დეპუტატთა საკრებულოს მდივანი და მის კანდიდატი.

— ხვალ, 9 იანვარს, დილის 10 საათზე, ტფილისის თავად-აზნაურთა სადგომში, მოხდება **კერძო კრება გორის მაზრის თავად-აზნაურთა.** კრებაზე განხილულ იქნება ზოგიერთი საგანი, რომელიც წარედგინება მომავალს ჩვეულებრივს თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებას.

— **ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება** დანიშნულია ქ. ქუთაისში 2 თებერვლისთვის.

— 1 მომავალ თებერვალს დანიშნულია დაბა ცაგერში, სამაზრო მმართველობის სადგომში, **ლეჩხუმის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივი კრება.**

— გუშინ-წინ ტფილისის „კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართა ჩვეულებრივი **ბალი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ.** დიასახლისად იყო პატივცემული კნეინა ნ. დ. ჩოლოყაშვილისა. ბალს დიდი საზოგადოება დაესწრო და ბრწყინვალედ ჩაიარა.

— ოთხშაბათს, 5 იანვარს, კრება ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთა შორის შეშისა და სხვა შემოწირულების განაწილება. რადგანაც ამ ჟამად შეშა ნაკლებად მოიპოვება ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურში, კომისიამ დაადგინა დაურიგოს ღარიბ მცხოვრებთ ფული, ნახშირი და უფასო სადილები. კომისიას ამ ჟამად სულ 4500 მ. აქვს. აქედან 500 მანეთისას იაფ-ფასიან სადილების ბილეთებს შეიძენს და დაურიგებს ღარიბებს. დანარჩენი 4000 მან. ასე იქნება განაწილებული: ქალაქის პირველ ნაწილის ღარიბებს დაურიგდებათ 300 მ., მე-2 ნაწ.—300 მ., მე-3 ნაწ.—400 მ., მე-4 ნაწ.—300 მ., მე-5 ნაწ.—500 მ., მე-6 ნაწ.—500 მ., მე-7 ნაწ.—800 მ., მე-8 ნაწ.—400 მ., მე-9 ნაწ.—200 მ., მე-10 ნაწ.—300 მან. ამასთან კომისიის დადგენილების სისრულეში მოსაყვანად არჩეულ იქმნენ: 1 ნაწილისათვის—ა. ს. ბაღდასაროვი, 2 ნაწ.—ს. დ. ლისიციანცი, 3 ნაწ. ი. ს. ბუღდანოვი, 4 ნაწ.—ა. გ. ირიცპუხოვი, 5 ნაწ.—ი. ს. ალიხანოვი, 6 ნაწ.—ა. ს. ბაღდასაროვი, 7 ნაწ.—ი. ა. სულხანოვი, 8 ნაწ.—ე. მ. აკოფოვი, 9 ნაწ., ვესელოვზოროვი და 10 ნაწ.—ნ. ა. ხუდადოვი.

— ხვალ, 9 იანვარ, სახალხო კითხვათა სადგომში, ავჭალის ქუჩაზე, გაიმართება **ქართული სახალხო წარმოდგენა.** წარმოდგენილი იქნება **„დედა-კაცის საქმე“** კომედია 2 მოქმედებად. წარმოდგენის დაწყებამდე ნაჩვენები იქმნება ბუნდოვანი სურათები ჟანნა დარკის ცხოვრებიდან.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში ბევრი თხოვნა შესულა სამხრეთ-რუსეთის წვრილ მემამულეთაგან—**კავკასიაში გადასახლება** გვინდაო და სახაზინო მიწები მოგვეცითო. სამინისტროს გარდაუწყვეტია მდ. არაქსის ხეობაში დაასახლოს ისინი.

— ოთხშაბათს, 5 იანვარს, ახალქალაქის მაზრაში წავიდა საგუბერნიო ექიმი ბ. **ქიქოძე,** რათა ადგილობრივ დაათვალიეროს თუ რა და რა ზომები იქმნას მიღებული მიწის ძვრისაგან დაშავებულთა და დაჭრილთა საშველად.

— „მწყემსი“-ს სიტყვით, უწმ. სინოდთან შემდგარი განსაკუთრებული კომისია შესდგომია საპენსიო წესების შემუშავებას ქალაქისა და სოფლის მღვდელთათვის. პენსიის მისაღებ ვადად აზრადა აქვთ 35 წელწადი დანიშნონ. ქალაქის დეკანოზებს დაენიშნებათ 450 მ., ქალაქის მღვდლებსა და სოფლის დეკანოზებს—360 მან., სოფლის მღვდლებს—240 მ., ქალაქის მთავრებს—240 მ., სოფლის მთავრებს—180 მ მედავითნეთ პენსია არ დაენიშნებათ.

— ხვალ, 9 იანვარს, „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში გაიმართება რუსული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი გადაიდება **ღარიბ ბავშვთა სასადილოს** გამართვისათვის ტფილისში.

— 15 იანვარს, საღამოს 8 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში მოხდება საგანგებო **კრება ბავშვთა დამხმარებელ ტფილისის**

**საზოგადოებისა.** კრებამ, სხვათა შორის, უნდა აირჩიოს ოთხი გამგეობის წევრი და მათი კანდიდატები.

✦ „კავკაზ“-ს ატყობინებენ, რომ ამას წინად ტფილისის მაზრაში შემდეგი **შემთხვევა** მოხდა; **სართიჭალის** ბოქაულს შეატყობინეს, რომ ეგრედ წოდებულ კორუგის საზამთრო საძოვარზე იმალებიანო საგარეჯოს მცხოვრებნი ცხენის ქურდები—ფიდო გრატიაშვილი და ფიდო მათიაშვილი, რომელთ დიდი ხანია უკვე დაეძებს პოლიცია. ბოქაულმა მაშინვე გაგზავნა აღნიშნულს ალაგას დარაჯები გადაიარდნილთა დასაჭერად. როდესაც დარაჯები ათვალიერებდნენ მწყემსების სადგომებს, ერთმა უკანასკნელთაგანმა—ია ცოკურიშვილმა გამოუცხადა დარაჯებს, რომ ვისაც თქვენ დაეძებთ, ისინი აქ არ არიანო, ხოლო აქ იმალებაო კატორღიდან გამოქცეული ყაჩაღი ყურბან-ალი-ოღლიო. მართლაც ამავე დროს ერთ-ერთ სადგომიდან გამოვარდა ვიღაც შეიარაღებული კაცი, რუსულ ფარაჯაში გამოხვეული და გავარდა ტყისაკენ. დარაჯები გამოუდგნენ უკან. ავაზაკმა მათ თოფი ესროლა და გაექანა.

✦ ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში პოლიციელთ **მოუკლავთ** ციმბირიდან გამოქცეული **ყაჩაღი** ახმედ-აბდულ-ოღლი.

✦ ხუთშაბათს, 6 იანვარს, ქალების 1-ლ გიმნაზიაში მასწავლებელ ქალთა საზოგადოებამ ტფილისის **ღარიბ მცხოვრებთათვის** გამართა შობის ხის დღესასწაული საჩუქრებით. დანიშნულ ვადაზე გიმნაზიის ეზო გაივსო საწყალი ხალხით, მაგრამ ყველა მათგანს არ ხვდა წილად დამტკბარიყო დღესასწაულით. შესვლა ბილეთებით იყო, და ვისაც წინადვე არ ეშოვნა ბილეთები, იგი მხოლოდ ტყუილ მაყურებლად დარჩა მათ წინ ამართული კედლებისა, რომელნიც ჰფარავდნენ მათგან სასიამოვნო სანახაობას. შეგროვილთ არა სჯეროდათ, რომ ის გულკეთილნი, რომელთაც მათთვის დღესასწაული გაემართნათ, უყურადღებოდ დასტოვებდნენ უბილეთოებს, არა სჯეროდათ და ამიტომ არა სცილდებოდნენ შესავალ კარებს და ითხოვდნენ უეჭველად შეეშვათ ისინიც. დღესასწაული კარგათ იყო მოწყობილი, დიდი დარბაზის ერთ მხარეზე მოჩანდა მშვენივრად განათებული საშობაო ხე. მღეროდა მოსწავლე ქალთა ხორო და უკრავდა მუსიკა. აჩვენეს ცოცხალი სურათები, და ბოლოს, ყველას, ვისაც ბილეთები ჰქონდათ, დაურიგეს თითო პარკი ხილი და ხუთ-ხუთი არშინი ბუმაზია. ზალაში ყველას მხიარულება ეტყობოდა, მაგრამ თუ გადაავლებდით თვალს კარებთან შეგროვილს ბრბოს, მაშინ ილიუზია გაიფანტებოდა და თვალ წინ წარმოგიდგებოდათ ნაღვლიანი სახე ძონძებში გახვეულ ღარიბებისა. ეტყობოდა, გამგეთ კარგად არა სცოდნიათ ღარიბი უბნები, რადგანაც მართლაც ღარიბთ ნაკლებად ჰქონდათ ბილეთები. იქნება უკმაყოფილო უფრო ბევრი წავიდა ამ დღესასწაულიდან, ვიდრე მადლიერი. პატივცემულ საზოგადოების უანგარო მუშაკთ კი ბევრი შრომა და ენერგია მოანდომეს ამ საქმეს.

✦ მოგვივიდა აკაკის თვიური „კრებული“, № 10, ოქტომბრის წიგნი. აი შინაარსი ამ წიგნისა:

1) «აკაკის» კოლხიდელი (ლექსი) 2) «კოლხიდელს» აკაკი (ლექსი), 3) «თავ-გადასავალი» აკაკისა, 4) «გაიოზ ბართლომიჩი» (მოთხრობა) მაჩხანელისა, 5) ⁂ (ლექსი) სოხანა მეჩანგურესი, 6) «მოხუცის აღსარება» და ⁂ (ლექსი) დ. თომაშვილისა, 7) «აკაკის წერილი» თ. ილია ჭავჭავაძესთან, «შავი ქვის სამეფო» მიცანი—სა, 9) «საქართველოს დედა ქალაქი ტფილისი» (გაგრძ.) მ. ჯანაშვილისა. მეორე განყოფილება. 1) «სოფ. ჭალატყე», ხალხური ლექსები და გამოცანები, წარმოდგენილი აფ. მერკვილაძის-მიერ, 2) «გურული ასასხნელები», ჩაწერილი აღ. მერკვილაძის-მიერ.

## თეატრი

**ქართული თეატრის დღესასწაული თელავში.** კვირას, 2 იანვარს, ქართული თეატრის ორმოც და ათის წლის იუბილეის დღეს, ქ. თელავში გაიმართა სადღესასწაულო წარმოდგენა. წარმოდგენილი იქმნა „სამზადისი“ ჰ. უმიკაშვილისა. მონაწილეობას იღებდნენ: თ. ვორონცოვის როლში ბ. ტურინიკი, ქეთევან ორბელიანისა—ქ-ნი გამყრელიძისა, კნეინა ბაბალეს როლში ქ-ბნი სიდამონოვისა, ტასო გაგარინის როლში ქ-ნი იაშვილისა, გიორგი ერისთავისა—ვ. გამყრელიძე, რევაზ ერისთავისა—დ. აწყურელი, დიმიტრი ყიფიანის როლში—თავ. ი. ვახვახოვი, პლატონ იოსელიანის—მ. აჯმამუდოვი, ილია ორბელიანის—ზ. მაჭავარიანი, ვახტანგ ორბელიანის—ა. ყადორელი, გრიგოლ შანშიევისა—ა. გამყრელიძე, მიხეილ ჰილოევისა—ლ. ვახვახოვი. ყველა სცენის მოყვარეთ კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. უფრო იჩჩეოდნენ როგორც გრიმით, აგრეთვე ჩაცმულობით და თამაშით ე. გამყრელიძე, მ. აჯმამუდოვი, ბ. ტურინიკი და აწყურელი.

შემდეგ ითამაშეს „უჩინ-მაჩინის ქუდი“, გ. ერისთავისა. მონაწილეობას იღებდნენ ქ-ნნი იაშვილისა და სიდამონოვისა, ბ-ნნი აწყურელი, გამყრელიძე, ყადორელი და ვახვახოვი, რომელთაც ძალიან კარგად ითამაშეს და საზოგადოება ბევრი აცინეს. ხელს უშლიდნენ მოთამაშეთ, ცოტა არ იყოს, მხოლოდ ორნი სცენის მოყვარენი, რომელთაც სიცილი ვერ შეეკავებიათ.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა სადღესასწაულო აპოთეოზი. სცენა განათებული იყო ბენგალიურის ცეცხლით. ავან—სცენაზე მშვენივრად ამართული ყვავილების გორა იყო. შიგ იდო გიორგი ერისთავის სურათი დაფნის გვირგვინით შემკული. გარშემო მწყობრად იდგნენ მოთამაშენი ხელში გვირგვინებით. ერთმა მათგანმა წაიკითხა მოკლე ისტორია ქართულის თეატრისა და რამდენიმე ლექსი. შემდეგ მოთამაშენი სათითაოდ მიესალმნენ გიორგი ერისთავის სურათს და შეამკეს იგი გვირგვინებით.

დასასრულ გაიმართა ცეკვა, რომელმაც ღამის ორ საათამდის გასტანა. საზოგადოება წარმოდგენას ბოლომდე დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა. წარმოდგენის შემოსავალი გადადებულია თელავის სამკითხველოს სასარგებლოდ.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 იანვარი.

**პეტერბურგი**. 4 იანვარს დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული ძეობიდან განთავისუფლდა: მის უმაღლესობას ეყოლა ვაჟიშვილი, რომელსაც უწოდებს სახელად ნიკიტა. დიდი მთავრინა და ახლად დაბადებული კარგათ არიან.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** კასპის ზღვის ნაპირზე, ზოგიერთ ფირმების მამულში, 100 საჟენის სიღრმეზე აღმოჩნდა ნავთი.

**მოზერუ.** ორანჟეს რესპუბლიკის ბაზუტოსთა შორის ინგლისელები ავრცელებენ ანგარიშებს იმის შესახებ, თუ რამდენი ბური მოჰკლეს ლედისმიტთან უკანასკნელ ბრძოლის დროს. ამ ანგარიშებს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენიათ ბაზუტოსებზე, რადგანაც მათ ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ინგლისელები ბოლო დროს ძალიან ამარცხებენ ბურებს.

ოფიციალური ცნობა, რომელსაც გზავნის პრინსლოოს კომენდანტი, სულ სხვას ამბობს ამავე ბრძოლის შესახებ. მისი სიტყვით, ზანდრივერის რაზმიდან დაჭრილია მხოლოდ ერთი ბურგერი, მაშინ როდესაც კორრისმიტის რაზმს მოუკლეს 15 კაცი, გეილბრონისას—4 მოუკლეს და 10 დაუჭრეს და კროამტადის რაზმს მოუკლეს 4 და დაუჭრეს 7 კაცი.

ოფიციალურად იტყობინებიან, რომ მეფეკინგის ჯარი მხნედ დაეცა თავს ბურების სიმაგრეებს. რამდენი დაჰკარგეს ბურებმა, ჯერ არ არის ცნობაში მოყვანილი.

**რენსბურგი.** დღეს დილას ბურებმა განიზრახეს ერთის გორაკის დაჭერა და დაესხნენ მას, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ბურებს მოუკლეს 22 და დაუჭრეს 50 კაცი.

**მოლტენო.** იტყობინებიან, რომ ბურები კვლავ აპირებენ მოლტენოს ბანაკზე იერიშის მიტანას. გენ. გატეკრმა გაგზავნა სტომბერგისაკენ ჯარი, მაგრამ უკანასკნელმა ვერ იპოვა იქ მტერი. ამბობენ, რომ ბურებმა მიატოვეს სტომბერგი და გამაგრდენ ბურგერსდორფთან; მაგრამ ეს ცნობა ჯერ დასაჯერებელი არ არის. გატეკრი მოუთმენლად ელის მშველელ ჯარებს.

**რენსბურგი.** კოლსბერგიდან შენიშნეს, რომ ბურებმა აღმოსავლეთისკენ დაიწიეს. ეს ინგლისელთა ზარბაზნების საქმეა.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს სწერენ ლორენცო-მარკეზიდან, რომ ბურების მთავრობა, ბევრ ინგლისელთა დახმარებით, აძლიერებს ოქროს მადნების შემოსავალს, რომელიც ბურებს სჭირიათ საომრო მასალის მომზადებისათვის და, საზოგადოთ, ომის გაგრძელებისათვის.

„ტაიმსი“ იტყობინება, რომ გუშინ ლი-ხუნგ-ჩანგმა ინახულა ჰონკორგის გუბერნატორი.

**ვაშინგტონი.** სენატმა დაამტკიცა ხელშეკრულობა სამოას კუნძულების შესახებ.

**ლონდონი.** ბომბეიდან იტყობინებიან, რომ რამდენიმე ასმა მკვიდრმა დაიჭირა ყაზარმები ბენგალის ოლქში. მეამბოხეთა წინაამდეგ გაიგზავნა მთელი პოლკი. საქმე ცხარე ბრძოლით დასრულდა; მოკლულია ბევრი მკვიდრი, ბევრიც ტყვედ იქმნა წაყვანილი. ამგვარ შემთხვევათა ასაცილებლად მმართველობამ საჭირო ზომები მიიღო.

**ლონდონი.** პარლამენტის წევრის, კარატნელის, თავჯდომარეობით აქ დაარსდა კომიტეტი, რო-

მელსაც საგნად აქვს ჰბეჭდოს ნამდვილი ცნობები სამხრეთ-აფრიკის საქმეების შესახებ და ამტკიცოს—რა დიდიპოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ინგლისელთა და ბურებთა შერიგებას; კომიტეტს ჰსურს მშვიდობიანობის ჩამოგდებისთვის იზრუნოს. კომიტეტის წევრებად არიან: აფრიკის გამომკვლეველი სელონსი, ლორდი კოლრიჯი, მინისტრად ნამყოფი შოუ ლეფევრი, ჰერბერტ სპენსერი და სხვა გამოჩენილი პირნი.

**ჰონკონგი.** ფილიპელნი თავს დაესხნენ ამერიკელთ. სან-მატეოში და პაპაკაკუეში, მანილიის ახლო, მოკლულ იქმნა 146 ამერიკელი, მათ შორის ერთი პოლკოვნიკი. ამერიკელთა მმართველობის ბრძანებით, ილო—ილოს 25 მცხოვრები დახვრეტილ იქმნენ. ამან გამოიწვია საყოველთაო აღელვება. ფილიპელებმა გარდასწყვიტეს იბრძოლონ სამშობლოს დაცვისათვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

**ბერლინი.** რეიხსტაგს წარედგინა ინტერპელაცია იმის შესახებ, თუ რა ზომები მიიღო მთავრობამ ინგლისელთაგან გერმანულ გემების დაპატიმრების გამო. ინტერპელაციაზე ხელი უწერია რეიხსტაგის ყველა წევრებს, სოციალ დემოკრატთა გარდა.

**ნოვგოროდი.** შუა ღამის შემდეგ, სენნაიას ქუსაზე, ვიბორგის პოლკის საქმის მაწრმოებელმა ივანე კრასკოვსკიმ თოფი ესროლა ზურგზში თავის ცოლს და მძიმედ დასჭრა იგი. დამნაშავე შეიპყრეს. ექიმის შემოწმებით, ქალი საშიშ მდგომარეობაში არის. მიზეზი—ცოლქმრის შუა უთანხმოებაა.

**გოსკოვი.** სამეურნეო ინსტიტუტში დაიწყო სხდომები სამეურნეო განათლების გავრცელების შესახებ მოწვეულის კრებისა.

**ბერლინი.** ვიცე-ადმირალი ზენდენი არჩეულ იქმნა (?) და წავიდა ლონდონს. მის გამგზავრებას არავითარი საყურადღებო მნიშვნელობა არა აქვს.

**პარიზი.** ტრანსვაალის წარმომადგენელმა ლეიდსმა გამოუცხადა „გოლუას“ თანამშრომელს, რომ ის ამბავი, ვითომც ბურები თავს დაესხენ ცეზარსკომპს ლედიმმიტის აღებისათვის, მას არა სჯერა, ინგლისელებს ლედისმიტში დიდძალი სურსათი შეუგროვებიათ, ასე რომ შეძლება აქვთ კიდევ რამდენიმე თვე გამაგრდენ. ბურებისთვის არც არის სასარგებლო ლედისმიტის დაპყრობა: უატის ჯარი რომ ჩაუარდეს ხელში ბურებს, მათ არ შეეძლებათ 10.000 კაცის რჩენა და დაცვა; მრავალი ბური მაშინ ომს უნდა მოცდეს. ბოლოს ლეიდსმა თქვა, რომ უმჯობესი იქნება დატყვევებული ინგლისის ჯარებიო მადნებში იქმნან გაგზავნილნიო.

„მატენ“-ში გამოქვეყნებულია ამ გაზეთის თანამშრომლის ბაასი ხმელთა შუა ზღვის ინგლისელ ესკადრის უფროსთან. ბერესფორდთან. უკანასკნელს არ სჯერა, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შორის ომი მოხდესო. ომი დაღუპავდა ორივე ხალხსო და ამიტომ ორივესთვის მშვიდობიანობაა საჭიროო. ის გარემოება, რომ ჩემბერლენის სიტყვა, საფრანგეთის წინააღმდეგ მომართული, ინგლისშივე იქმნა ბევრისგან განკიცხული, ნიშნავს, რომ ინგლისს არა სურს საფრანგეთს წაეკიდოს. ბერესფორდმა ისიც დაუმატა, რომ ინგლისის ფლოტს ვერ შეედრება გერმანიის, რუსეთის და საფრანგეთის შეერთებული ფლოტებიო, რაც შეეხება ხმელეთის ჯარს, ის თანახმაა, რომ ამ მხრით ინგლისი სუსტია. ომის დასრულების შემდეგ გაირჩევა, ვინ არის დამნაშავე და შემოღებულ იქნება რეფორმები ჯარებში.

**ლისაბონი.** დეპუტატთა პალატა. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მთავრობას ფიქრადაც არ მოსვლია გადასცეს ვისმე, ან მიჰყიდოს ან იჯარით გასცეს თავისი ახალშენები.

**მოდერ-რივერი.** დღეს დილით ასტყდა ზარბაზნების სროლა. ინგლისის ბანაკში ამბავი მოვიდა, ვითომ ც ორანჟეს ბურებს ჰსურთ ომიანობის გათავებაო.

ამ დღეებში ხმა გავრცელდა, ვითომც ბლუმფონტენში ყრილობა მოხდა, რომელზედაც გარდაწყდა, რომ თუ 17 იანვრამდის ინგლისელები თავს არ დაესხმიან ორანჟეს რესპუბლიკას, ორანჟეს ბურები ბრძოლის ველს თავს დაანებებენო.

**კაპშტადტი.** როგორც იტყობინებიან, ბურების მძლავრი ჯარი მაგერსფონტენიდან კოლსბერგისაკენ წავიდა.

**ლონდონი.** სამხედრო სამინისტრო იტყობინება, რომ ჯერ-ჯერობით მას მოუვიდა მხოლოდ ერთი ცნობა მდ. ტუგელის ბანაკიდან; ჯარი სპრინგფელდისაკენ იქმნა გაგზავნილი მტრის დასაზვერავად და უკანვე დაბრუნდა. ჯარს ერთი ჯარის-კაცი მოუკლეს.

**ლონდონი.** საღამოს გაზეთებს ატყობინებენ იაკობსდალიდან, რომ კაფრები ამბობენ,—კიმბერლეიში ჩამწყვდეულ ჯარებს სურსათი შემოაკლდათო.

**ნაბაროვსკი.** პირველ იანვრიდან დაიწყეს წესიერი მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებმა ნიკოლოსკიდან მანჩჟურიის საზღვრებამდე (91 ვერსი).

**ლონდონი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ რენსბურგის ახლო მომხდარ შეტაკებაში, 3 იანვარს, მოჰკლეს 7 ინგლისელი, დასჭრეს ერთი კაპიტანი და 5 ჯარის კაცი.

**მოდდერ-რივერი.** მეტუენმა დღეს მოახდინა დიდის რაზმით დემონსტრაცია და გრანატები დაუშინა მარცხენა ფლანგს; იგი დარწმუნდა, რომ აქ მტერს ძლიერი პოზიცია უჭირავს. ბურები პასუხს არ აძლევდენ. ბოლოს ინგლისელებმა დაუზარალებლად უკან დაიწიეს.

**ლონდონი.** 22 დეკემბერი. მტერმა 20 დეკემბერს ისევ დაიწყო ზარბაზნების სროლა; სხვათა შორის ექვსი ცხრა გირვანქიანი ყუმბარა ესროლეს ბანაკს, სადაც ქალები და ბავშვები იმყოფებიან; მოჰკლეს პატარა გოგო, სხვები დაჭრილები არიან. სტრატეგიული მდგომარეობა არ გამოცვლილა.

**ვაშინგტონი.** სენატმა მიიღო გელის მიერ შემოტანილი რეზოლიუცია შესახებ ამერიკელ საქონლის შეპყრობისა ინგლისელ გემების მიერ.. აი ეს რეზოლიუციაც; „რადგანაც ხმა დადის, რომ დიდი ბრიტანიის სამხედრო გამგეობამ დელაგოას უბეში თუ მის ახლო შეიპყრო უსაფუძვლოდ, წინააღმდეგ ხალხთა შორის მართებულებისა, ამერიკელ ქვეშევრდომთა საქონელი, რომელიც არ წარმოადგენს სამხედრო კონტრაბანდს, და აქამდე არ დაუბრუნებია მესაკუთრეებისათვის, ამისათვის ვსთხოვოთ პრეზიდენტს, აცნობოს სენატს, თუ ეს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგი არ იქნება, ყველა ამ საქმის შესახები დოკუმენტები, რომელნიც გარეშე საქმეთა სამინისტროს აქვს.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ი იტყობინება, რომ კუბის ეკონომიურ მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება; საწარმოვო მოქმედება თან და თან ძლიერდება; ხალხი მრეწველობას უბრუნდება.

**ბერლინი.** „ლოკალ ანცაიგერ“-ი აცხადებს ბელგიის პალატის თავმჯდომარე ბერნაგრტთან ბაასის შინაარსს. აქედან სჩანს, რომ ბერნაგრტის მისსია ბერლინში ეხება გერმანიის აღმოსავლეთ-აფრიკის სამფლობელოსა და კონგოს სახელმწიფოს სადავო კითხვების გაწეს-რიგებას.

**ვენა.** უნგრეთის დელეგაცია. ავსტრიის დელეგაციის უკანასკნელ სხდომის დროს შემოტანილ იქმნა განცხადება, საიდანაც სჩანს, რომ ორივე დელეგაცია სავსებით შეთანხმდნენ ყველა კითხვების შესახებ. ჩვეულებრივი სიტყვების შემდეგ დელეგაციის სხდომები დასრულდა.

**პეტერბურგი.** უმაღლესი ბრძანება: „4 იანვარს ძეობისაგინ განთავისუფლდა დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული, და შეეძინა ვაჟი, რომელსაც ეწოდა ნიკიტა. ვბრძანებთ, რათა ახლად დაბადებული მთავარი, იწოდებოდეს, როგორც შეჰფერის იმპერატორის შვილის-შვილს, უმაღლესობად.

**ბერლინი.** ოფიციალური დეპეშა ლონდონიდან იტყობინება, რომ გერმანიის საფოსტო გემის „ბუნდესრატის“ შეპყრობის საქმე გამოირკვა და მალე გაანთავისუფლებენ ამ გემსო. ასე რომ არსებულ უთანხმოებათა მშვიდობიანათ გათავება უზრუნველყოფილია და იმედიც არისო, რომ შემდეგში ამ გვარი შემთხვევები არ განმეორდებიანო.

**ვაშინგტონი.** სენატმა დაამტკიცა ხელშეკრულობა შესახებ სამოას კუნძულებისა, მაგრამ რაც შეეხება სამედიატორო მოსამართლესადმი მიმართვის შესახებ გადაწყვეტილებას, საბოლოო აზრს სენატი შემდეგში გამოთქვას.

**სან დომინგო.** სან-დომინგოს რესპუბლიკასა და საფრანგეთს შუა მომხდარი უთანხმოება დასრულდა. საფრანგეთის კონსულმა განაახლა პირდაპირი დამოკიდებულება რესპუბლიკის მართებლობასთან, მას შემდეგ რაც საფრანგეთს გადაუხადეს მონათხოვი ჯარიმა.

**ნიუ იორკი.** პორტო პრენსში მოსულა საფრანგეთის კრეისერი „სიუშე“. მოსვლის მიზეზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ გაიტის არ მიუცია საფრანგეთისათვის ის მიწები, რომლის ფასში გარდაცვლილ პრეზიდენტ გეროს აუღია 200,000 ფრანკი.

### 6 იანვარი

**პეტერბურგი.** ნათლისღების პარადზე ჯარებს უფროსობდა დიდი მთავარი ვლადიმერ ალექსანდრესძე. ათ საათზე და 30 წამზე, ხელმწიფე იმპერატორი გამობრძანდა. მათი იმპერატორებითი უდიდებულესობის გამობძანების დროსდაჰხარეს ნიშნად პატივისცემისა დროშები. თერთმეტ სათ. მათი უდიდებულესობანი პრინცი და პრინცესის გოგენლოე-ლანგენბურგებითურთ, სობოროში წაბრძანდნენ წირვის შემდეგ შესრულებულ იქმნა ლიტანია მიტროპოლიტი ან-

ტონის მეთაურობით. წინ მიასვენებდნენ წმ. ჯვარს, შემდეგ მიბრძანდებოდა მიტროპოლიტი და მერე ხელმწიფე იმპერატორი, ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, დიდნი მთავარნი და პრინცი და პრინცესა გოგენლოე ლანგებურები.

წყლის კურთხევის შემდეგ ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი ჯვარს ემთხვივნენ. შემდეგ გამართულ იქმნა საუზმე უდიდებულესობათა თანადასწრებით. საუზმეზე ბრძანდებოდა აგრეთვე ჰერცოგი საქსონ-კობურგ-გოტსკი.

**ვარშავა.** გარდაიცვალა ვარშავის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ლიგინი.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა დისკონტი 5-დან $4^1/_2\%$-მდის დასწია.

**მოსკოვი.** ფარმაცევტთა კრებამ, სხვათა შორის, გარდასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ფარმაცევტთა კომიტეტი; მოეთხოვოს აფთიაქის მოსწავლე ვაჟთ გიმნაზიის ექვსი კლასის გათავების ატესტატი, ქალთ—გიმნაზიის დასრულებისა. ფარმაცევტის კანდიდატობაზე ეგზამენის დაჭერის ნება მიეცეს მხოლოდ იმათ, ვისაც გაუთავებია სამი კურსი უნივერსიტეტისა. გახსნილ იქმნას ყველა უნივერსიტეტებთან, სადაც საექიმო ფაკულტეტებია, ფარმაცევტთა განყოფილებები. აფთიაქების გახსნის და წარმოების ნება მიეცეთ მხოლოდ პროვიზორებს და ფარმაციის მაგისტრებთ. აფთიაქის მაღაზიები ექვემდებარებოდეს საექიმო ადმინისტრაციას. შემოკლებულ იქმნას სამუშაო დღე 8 საათამდის და მომატებულ იქმნას ფარმაცევტთა რიცხვი აფთიაქებში. ფერეინმა დააარსა კრების სახსოვრად ყოველ წლიური სამეცნიერო პრემია 500 მანეთიანი.

**ლონდონი.** „ტაიმ“-ს ლორენცო-მარკეზიდან 3 იანვარს ატყობინებენ: იოგანესბურგში არავისთვის დაფარული არ არის, რომ ნავთ-სადგურ დელაგოადან ტრანსვაალში ოცი ზარბაზანი შეიტანეს.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგ.“ საკუთარი კორესპონდენტი 5 იანვარს, დილის 10 საათზე, სპირმანსკამპიდან ატყობინებს შემდეგს: „მე გადავიარე დიდი მთა-გორიანი ადგილები იმ განზრახვით, რომ მენახა გენ. უორენის ტუგელის სამხრეთ ნაპირზედ გადასვლა. მტრის ჯარი მეორე ნაპირიდან ერთი მილის მანძილზე რინოტერხფონტერის გარშემო იყო დაბანაკებული. მათ ამდენჯერმე გაისროლეს თოფები. ინგლისის მოწინავე რაზმმა უპასუხა მახლობელ გორაკიდან ინგლისის არტილლერიაც ისროდა და სწორედ ამ დროს რამდენიმე ჯგუფი ინგლისელთა ბორნით გადავიდა მდ. მეორე ნაპირზე. მტერმა თავის პოზიცია უხერხულ ადგილად სცნო და გორაკებისკენ დაიწია. შემდეგ ინგლისელთ ნავტიკების ხიდი გადადეს მდინარეზე და მაზედ გადავიდა უორენის ჯარები.

**ტურინი.** ეხლა გამოირკვა, რომ ვილიეში 12 მუშა და ერმი ხარჯის მომგროვებელი დინამიტის აფეთქებით არ იქმნენ მოკლულნი.

7 იანვარი

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული კარგად გრძნობს თავს. დილით ჰქონდა 36,8% საღამოთი 36,6. პულსი 64—70. კარგად არის აგრეთვე ახლად დაბადებული დიდი მთავარი ნიკიტა.

**ლონდონი.** რენსბურგიდან გამოგზავნილ უკანასკნელ დეპეშებიდან სჩანს, რომ დარაჯთა ჯგუფიდან, რომელიც გუშინ მომწყვდეულ იქმნა, მოკლულია მხოლოდ ერთი სამხრეთ-ავსტრალიელი ჯარის-კაცი, დაჭრილია ერთი. ექვსნი ბანაკში დაბრუნდნენ.

**პარიზი.** პალატამ 329 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 74 მოიწონა მთავრობის მოქმედება ბელფორში და სენტ-ეტიენში მომხდარ აჯანყების შესახებ და მისი პასუხი ამ საქმის შესახებ შეკითხვებზე.

**ლონდონი.** სამხედრო მინისტრმა მიიღო სპირმანსკამპიდან 6 იანვარს გამოგზავნილი დეპეშა გენერალ ბულლერისაგან, რომ არტილლერის ბატარეია, ბატარეია გაუბიცისა და ლეიტლტოკის ბრიგადა პოტჩიტერსდრიფტთან მდ. ტუგელზე გადავიდნენ. ამდროს როდესაც ჩვენ მტრის ბანაკს ტყვიით მოსვენებას არ ვაძლევდით, ხუთი მილით ზევით ნავტიკებზე გადებულ ხიდზე (სიგრძით 85 იარდ.) გადავიდა მდინარეზე გენ. უორრენის ჯარები. უორენი ჰფიქრობს, საღამომდის კიდევ ხუთი მილი გაიაროს მდინარის იქითა ნაპირზე. უორრენის ჯარის მემარჯვენეთა პირდაპირ ბურები სისწრაფით ამზადებენ სიმაგრეებს. სამხედრო სამინისტრომ გამოაქვეყნა აგრეთვე გენ. რობერტსის დეპეშა კაპშტადტიდან გამოგზავნილი: „გატეკრი იტყობინება, რომ 300 ჯარის კაცი სხვა-და-სხვა რაზმებისა ბუშმანსტეკიდან ლოპერბეგში გადავიდნენ, სამოცდა მე-12 ბატარეია არტილერიისა და ერთი როტა ცხენოსანთა ქვევითი ჯარისა სტერკსტრომიდან ბუშმინსტეკში. სხვა არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი.** შინაგან საქმეთა სტატს-ზეკრეტარმა, უაიტ-რიდლეიმ დღეს ბლეკნულში სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც შეეხო იგი ახლანდელ ომის კრიტიკას და როგორც თავის, ისე თავის ამხანაგების მხრით განაცხადა, რომ ომის შესახებ ყოველისფერს კისრულობს კაბინეტი; როგორც თვით ერი, მისი კაბინეთიც ომის დაწყებიდანვე მოქმედობდა წევრთა სრულის შეთანხმებით და იგი არ ეჭვობს, რომ თუ საჭიროება მოითხოვს, მინისტრებს ყოველთვის შეუძლიანთ იმართლონ თავი ქვეყნის წინაშე. არავის არა აქვს მინდობილი ილაპარაკოს იმ მამაც გენერლებზე, რომელნიც ბრძოლის ველზე მოქმედობენ. ყოველ მათგანს სრული ნდობა აქვს ქვეყნისა და მთავრობისაგან. მეორეც ისა, რომ იმპერიის ისტორიაში ვერ გაიხსენებთ ისეთ ბრძოლას, როდესაც ჯარის-კაცს ებრძოლათ უკეთ, ვიდრე ეხლა იბრძვიან ჩვენი ჯარები სამხრეთ აფრიკაში, გამარჯვება ყოველ ეჭვს გარეშეა, მხოლოდ ამისთვის საჭიროა დრო და ფული.

**ვაშინგტონი.** სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ შეერთებულ შტატებსა და ინგლის შორის ამერიკულ საქონლის დატყვევების შესახებ იურიდიულის მხრით არავითარი უთანხმოება აღ არსებობს. ინგლისი დასთანხდა, რომ საქონლის დატყვევება არ შეიძლება და ამით დაკმაყოფილდა შეერთებულ შტატებს გარეშე საქმეთა სამინისტრო

**ბერლინი.** აქ მოვიდა ლონდონიდან ოფიციალური დეპეშა იმის შესახებ, რომ გემი ,Bunclesrath, განთავისუფლებულ იქმნა.

როგორც „ბერლინერ ტაგებლატ“-ის დეპეშიდანა სჩანს, გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე ,სამხედრო მინისტრს მიუღია კერძო დეპეშა: „ლედი-სმიტი განთავისუფლებულიაო“.

**სტერკსტრომი.** გუშინ ბურებმა ააფეთქეს სამი პატარა ხიდი დორდრეხტის რკინის გზაზე.

**სპირმანფერმი.** ლეიტლტონის ბრიგადა გაუბიცის ბატარეითურთ 4 იანვარს გადავიდა მდ. ტუგელზე პოტჩიტერსდრიფტთან დაუბრკოლებლად. ამ ჯარებს გამართული ჰქონდა მტერთან ბრძოლა და დაიჭირეს გორაკი მინდვრის მხრით. 5 იანვარს საზღვაო ზარბაზნებმა და გაუბიცის ბატარეიამ აუტეხეს საშინელი სროლა მტრის საფარებს და ალაგი დაუნგრია თხრილები, რის შემდეგაც მტერმა დაიწყო ნელნელა გამოსვლა საფარებიდან შემდეგ ზარბაზნები დაუშინეს გორაკს, რომელიც ინგლისისპოზიციის პირდაპირ არის ამართული. ამაობაში უორენის ჯარმა მოასწრო მდ. ტუგელზედ გადასვლა შვიდი მილ. ზევით.

**რენსბურგი** ყარაულთა მწყობრი, რომელსაც შეადგენდა 16 კაცი ახალი სამხრეთ ვალისის ულანისპოლკის სამხრეთ აფრიკელ ცხენოსანთაგან გუშინ, მოიმწყვდიეს. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. ბურებმა დაამარცხეს ინგლისელები; ხუთი მოკლულია, ერთი დაჭრილი, ორნი გაიქცნენ. დანარჩენები ტყვედ წაიყვანეს.

**რომი.** გარდაიცვალა კარდინალი ტრომბეტტა.

**ვაშინგტონი.** საფიქრებელია, რომ მთავრობა სერიოზულად ჰფიქრობდეს ვერტ—ინდოეთის კუნძულების ყიდვის შესახებ და იმის გამორკვევაში იყო, რამდენად სახეირო და სასარგებლო იქნება ესო.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს დეპეშით ატყობინეიენ: ბულლერის ჯარებში მყოფი ლორდ დენდონალდიმ მოულოდნელად მიიტანა იერიში პოტჩიტერსდრიფტზე; გენ. ლეიტლტონი 4 და 5 იანვარს მდინარეს გადავიდა. გენ. უორენიც გადავიდა ტრიჩარდსდრიფრს და არაფერი შემაფერხებელი არ შეხვედრია. თუმცა მტრის ჯარები ოთხი მილის სიშორეზე იყვნენ დაბანაკებულნი მძლავრ სიმაგრეებში.

„დაილუ ტელეგრაფ“-ი იტყობინება, რომ უორრენი მთელის თავის ჯარებით გადავიდა ტუგელზე და დაბანაკდა სპიონკოპის მხარეზე.

**ლონდონი .** ბულერისაგან, რობერტსთაან გაგზავნილი დეპეშაში ნათქვამია: „ერთი ბრიგადა და გაუბიცოს ერთი ბატარეია გადავიდნენ მდ. ტუგელზე უორენმა მოძრავი ხიდი გადადო იდინარეზე ხუთი მილის სიშორეზე დასავლეთით, ტრიჩარდსდრიფტთან. მათ ჯარები 5 იანვარს გადავიდნენ ტუგელზე. მოელიან, რომ დანარჩენი ჯარები უორრენისა 6 იანვარს მდინარის ჩრდილოეთ ნაპირთან. უორრენს იმედი აქვს ზურგიდან მოუაროს ბურების იმ ჯარებს, რომლებიც ბინათ არიან მას მემარჯვენე რაზმებისა პირდაპირ, ხუთი მილის მანძილზედ.

დრ. რედაქტ. ალ. ჭყონია.
გამომც. გ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Января, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ის. განქის დიდ ქუჩა, № 27